საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1921
23/05/2022

1921-21-2-202205231021

შპს „რასეტს“
მის: ქ. ქუთაისი, ბარათაშვილის ქ. 42
ელ. ფოსტა: S777tt777@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №10117 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბაშში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადებას.

გაცნობებთ რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნას საწარმოს განთავსების Shp ფაილები;
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს წყალაღებისათვის გათვალისწინებული ტუმბოს წარმადობა და საპროექტო ტერიტორიამდე აღებული წყლის მისაყვანად მოწყობილი მილის პარამეტრები;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოო დანიშნულებით წყალაღება ხდება „უსახელო ღელედან“. დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული ობიექტის შესახებ ინფორმაცია;
- დოკუმენტის მიხედვით, საწარმოს ტექნიკური წყლის საათური ხარჯი იქნება 40 $მ^3$. საწარმოს სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს წლიურად გამოსაყენებელი საწარმოო წყლის მოცულობა;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოო ჩამდინარე წყლები, სალექარის გავლის შემდეგ, ჩაშვებული იქნება „უსახელო ღელეში“. დაზუსტებას საჭიროებს წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები;
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს ჩამდინარე წყალში არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაცია (საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებული სალექარის ეფექტურობა);

- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საწარმოს დასავლეთით, დაახლოებით 300 მეტრში მდებარეობს შპს „რესურსი 2009“-ის, ხოლო 200 მეტრში - შპს „პინგვინის“ ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოები. შესაბამისად, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ, მათ შორის საწარმოების ფუნქციონირების პროცესში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ანალიზს უახლოეს მოსახლემდე არსებული დაშორების გათვალისწინებით, ასევე, ინფორმაციას ხმაურის დონეების გაანგარიშებისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მიღებული ხმაურის კოეფიციენტისა და „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებასთან თავსებადობის შესახებ;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო